დანართი №1

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საჯაროდ გამოცხადების წესი“

პრეამბულა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი“ გამოიცემა 1927 წლიდან და წარმოადგენს უნივერსიტეტის სიმბოლოს, მისი წარსულისა და აწმყოს, არსებული რეალობის მაუწყებელ პერიოდულ გამოცემას (საინფორმაციო–ანალიტიკური) ფართო საზოგადოებისათვის. გაზეთი ასრულებს საუნივერსიტეტო ცხოვრების მემატიანის როლსაც. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 02 ივლისის #14 სხდომის ოქმით დამტკიცდა ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის დებულება, რომლითაც დადგენილი არ ყოფილა, რომ გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი“ უნივერსიტეტის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოა, რაც მისასალმებელია, ვინაიდან უნივერსიტეტის წინაშე ამ პერიოდული გამოცემის მნიშვნელობისა და დამსახურების დამძიმება მასში გამოქვეყნებისათვის სავალდებულო აქტების შინაარსის პირდაპირი გადატანის დავალდებულებით არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის მიერ მისაღები აქტების საჯაროდ გამოცხადების ქვემოთმოყვანილი წესის (შემდგომში – ,,წესი“) დამტკიცება.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წესის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებზე, რომელთა ოფიციალური წესით გაცნობა შეიძლება შეიცვალოს საჯაროდ გამოცხადებით.

მუხლი 2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადება

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ცხადდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა (www.tsu.edu.ge) და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსების გზით.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი შეიძლება დამატებით საჯაროდ გამოცხადდეს აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

მუხლი 3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში.